ჯგუფი ენერგო-პრო

შესყიდვების პოლიტიკა

2021

ENERGO-PRO

შესყიდვების პოლიტიკა (“პოლიტიკა”)

1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მაშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

ENERGO-PRO მოწოდებულია დაიცვას როგორც მდგრადი განვითარების, ასევე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) მაღალი სტანდარტები. ENERGO-PRO მოითხოვს, რომ ყველა კონტრაქტორმა, ქვეკონტრაქტორმა და მომწოდებელმა (რომლებიც ამ დოკუმენტში მოიხსენიებიან, როგორც მომწოდებლები) დაიცვან ქცევის გლობალურ კოდექსში და კომპანიის პოლიტიკაში წარმოდგენილი სტანდარტები. იმან თუ როგორ არის აწყობილი ჩვენი მომარაგების ჯაჭვი და ასევე ჩვენი მომწოდებლების ქმედებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს გარემოზე, საზოგადოებაზე, ბრენდის იმიჯზე, ჩვენს ოპერაციულ და ფინანსურ წარმატებაზე, და საბოლოოდ ჩვენს მდგრადობაზე და გარემოსდაცვით, სოციალურ თუ მმართველობით საქმიანობაზე.

2. მიზნები

ამ პოლიტიკის მიზნებია:

- მომწოდებლებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირება და მართვა;
- მომარაგების ჯაჭვის გამჭირვალობის და ეფექტურობის მაქსიმალური გაზრდა;
- უზრუნველყოს, რომ ჩვენს მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენის წესი და მიმწოდებლების მოქმედებები შეესაბამებოდეს ქცევის გლობალურ კოდექსს და პოლიტიკას, კონკრეტულად ბიომრავალფეროვნების, ადამიანის უფლებების, შრომის, ანტიკორუფციული და მექრთამეობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის, კლიმატის ცვლილების, ბავშვთა შრომის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ESG გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ანგარიშგების და კარგი მმართველობის საკითხების შესახებ;
- ადგილობრივი შესყიდვებისა და დასაქმების წილის მაქსიმალურად გაზრდა;

- უზრუნველყოს, რომ მომწოდებლების მუშაობის სფერო, ფუნქცია და მოვალეობები კარგად იქნეს გათვიცნობიერებული.

3. მოთხოვნები

„ენერგო-პრო'' ცდილობს შეინარჩუნოს მდგრადი მომარაგების ჯაჭვი და თვლის, რომ მომწოდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი ბიზნესის წარმატებასა და მდგრადი განვითარების / ESG ვალდებულებების განხორციელებაში. ჩვენ მოვითხოვთ ყველა ქვეყნისგან, შეიმუშაონ შესყიდვების პროცედურები, ჩვენი ქცევის გლობალური კოდექსისა და პოლიტიკის შესაბამისად, რომლებიც აღწერენ შესყიდვების პროცესს და უზრუნველყოფენ არჩევანის გამჭვირვალე მიდგომას. შესყიდვების პროცესები დეტალურადაა განსაზღვრული და აღწერილი შიდა შესყიდვების ინსტრუქციაში.

ამ პოლიტიკის სპეციფიკური მოთხოვნებია:

I. კონტრაქტორის მენეჯმენტი

კონტრაქტები, საკონსულტაციო კომპანიებთან, საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლებთან და სამშენებლო კომპანიებთან შეეხება შესასრულებელი სამუშაოს სფეროს. ეს მოიცავს ტექნიკურ და ფინანსურ დეტალებს, გრაფიკს, ანგარიშგების მოთხოვნებსა და მიღებას. მასში ასევე იგულისხმება „ენერგო-პროს“ პოლიტიკასთან შესაბამისობის აღიარება.

II. მიმწოდებლის შერჩევა

მომწოდებლების შერჩევა უნდა განხორციელდეს გამჭვირვალე წესით, ქრთამის აღებისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესაბამისად და მომწოდებლების მიერ დავალების შესრულების / საქონლის მიწოდების შესაძლებლობის დადგენის საფუძველზე. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- მიმწოდებლის მიერ საქმიანობის განხორციელების უნარი და გამოცდილება;
- ისტორიული მდგრადობის შედეგების შეფასება;
- საქონლისა და / ან მომსახურების შეფასება;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობები;
- ეთიკური პრაქტიკა და ბიზნეს სამართლიანობა;
- „ენერგო-პროს“ პოლიტიკასა და ღირებულებებთან შესაბამისობა;
- ფინანსური შეთავაზება.

III. ადგილობრივი მოცულობა

მიმწოდებლებმა დეტალურად უნდა განსაზღვრონ, თუ როგორ აპირებენ ადგილობრივი შესყიდვებისა და ადგილობრივი დასაქმების მაქსიმალურად გაზრდას. ეს მოიცავს იმ საზოგადოებას და რეგიონებს, რომლებზეც ჩვენი ოპერაციები ახდენენ გავლენას. „ენერგო-პროს“ აქვს იმის მოლოდინი, რომ ყველა ბიზნესპარტნიორი არ დაიშურებს ძალისხმევას და შეეცდება ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის დამყარებას, დასაქმებისა და ბიზნეს შესაძლებლობების უზრუნველყოფის საშუალებით.

IV. შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა

მომწოდებლები ვალდებულნი არიან დაიცვან ჩვენი შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული სტანდარტები და პროცედურები. მომწოდებლებს ექნებათ არჩევანის უფლება, რომ ან გამოიყენენ ''ენერგო-პროს" ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა, ან შექმნან თავისი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კომპანიის მიერ წარმოდგენილ სისტემასთან.

V. შრომისა და ადამიანის უფლებები.

მომწოდებლები თანხვედრაში უნდა მოდიოდნენ ''ენერგო-პროს" ადამიანის უფლებებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასთან. კერძოდ იმ პოლიტიკასთან, რომელიც დაკავშირებულია, დისკრიმინაციის, ჩართულობის, სამუშაო ძალის მრავალფეროვნების, სქესის, თანამშრომლების საარსებო მინიმუმით და საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხებთან. ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მომწოდებლებისგან, რომ ისინი პატივს სცემდნენ ადამიანის უფლებებს, მათ შორის ბავშვთა შრომის შეზღუდვას, სიცოცხლის უფლებას, თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, უსაფრთხოებას, მონობისგან თავისუფლებას და ასევე იცავდნენ ყველა ადგილობრივ შესაბამის კანონებს.

VI. გარემო და კლიმატის ცვლილებები

ჩვენ მოველით, რომ ჩვენი მომწოდებლები დაიცავენ ყველა ჩვენს პოლიტიკას და გაიზრდიან პასუხისმგებლობას შემდეგ საკითხებში:

- ენერგოეფექტურობა;
- ნარჩენების შემცირება და / ან აღმოფხვრა;
- ერთჯერადი გამოყენების პლასმასის მოხმარებისგან თავის შეკავება;
- გონივრული გარემოსდაცვითი მენეჯმენტი;
- ეკოლოგიური ინციდენტების შესახებ ანგარიშის შედგენა და ინციდენტების აღმოფხვრა;
- ბუნებრივი რესურსების, მათ შორის წყლის გონივრული გამოყენება;
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირება სათბურის აირების ემისიების ჩათვლით;
- ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება;
- ბიომრავალფეროვნების მართვა და დაცვა.

4. გავრცელების ზონა

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე. იგი შეიცავს სტანდარტულ ბიზნეს წესებსა და პირობებს, რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს კომპანიის ხელმძღვანელების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს პოლიტიკა განიხილება რეგულარულად და განახლდება საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

5. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაშია 2021 წლის 15 ივლისიდან.